პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კვირა, 14 ივნისი 1925 წ.

წელიწადი მეხუთე — ფასი 3 კ.—თვიურად 60 კ.

# წითელი არმიელი

№ 131 (829) | 1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი

რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა
ელსმენი 2—24
განცხადების ფასი პირ. გვ. 40 კ. ნომპ. სტრ.

ორშაბათს, ა.წ. 15 ივნისს, საღამოს 6 საათზე, წითელ თეატრში (ყოფ. ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლში) მოწვეულია, ფაბრიკა-ქარხნების და ადგილკომების დასწრებით, ტფილისის საბჭოს გაფართოებული პლენუმის სხდომა.

**დღის წესრიგი:**

1. მოხსენება სრულიად საკავშირო საბჭოთა მესამე ყრილობის შესახებ (მომხსენებლები ამხ. ამხ. ფილიპე მახარაძე და მამია ორახელაშვილი).
2. მიმდინარე საკითხები.

დასწრება საბჭოს ყველა წევრებისა და კანდიდატებისათვის სავალდებულოა.

**პრეზიდიუმი.**

## მშრომელო ახალგაზრდობავ, პირნათლად შეასრულე შენი მოვალეობა.

ხვალ 15 ივნისიდან მთელ საქართველოში იწყება 1902 წელში დაბადებული მუშურ-გლეხური ახალგაზრდობის გაწვევა ტერ-ნაწილებში. ხვალიდან ჩვენ უდგებით პირველი ტერ-შეკრების განხორციელებას.

თუ რამდენათ ნაყოფიერი დარჩება ეს პირველი ცდა ამიტგან ბევრათ დამოკიდებულია შემდეგი მუშაობა ტერ ალმშენებლობის სფეროში. ჩვენი ამოცანაა კი ყოველივე ზომა ვიხმაროთ, რომ ეს ტერ შეკრება წარმატებით ჩავატაროთ.

ტერიტორიალური სისტემა ჯარის ორგანიზაციის საუკეთესო ფორმაა. წითელი ჯარის ტერიტორიალურ სისტემაზე გადაყვანა ყოველმხრივ განამტკიცებს მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს და უზრუნველყოფს მის შემდეგ გაძლიერებას და ზრდას. ტერ სისტემა—მშრომელთა საყოველთაო შეიარაღების იდეის განხორციელებაა.

ტერიტორიალური სისტემა საშვალებას აძლევს ყოველივე მშრომელს შეისწავლოს სამხედრო საქმე, არ მოწყდება რა თავის სამუშაოს.

ტერიტორიალური სისტემა ამცირებს სახელმწიფოს სამხედრო ხარჯებს და ამავე დროს რესპუბლიკის თავდაცვის საქმეში აბამს ფართო მშრომელთა მასებს.

ტერიტორიალური სისტემა არამც თუ არ აბრკოლებს მუშურ-გლეხური ქვეყნის საწარმოო ძალების და მეურნეობის განვითარებას, პირიქით ყოველმხრივ ხელს უწყობს მას.

და რაც უფრო ადრე გადვიყვანთ ჩვენ წითელარმიას ტერიტორიალურ სისტემის საფუძვლებზე, მით უფრო გავაძლიერებთ საბჭოთა კავშირის თავდაცვის საქმეს და მის მშვიდობიან განვითარებას.

ამიტომ ყველა მშრომელის მოვალეობაა ყოველმხრივ ხელი შეუწყოს ამ ტერშეკრებას.

თვით გასაწვევი მშრომელი ახალგაზრდობა მთელი თავისი შეგნებით უნდა შეხვდეს ამ დიდი მნიშვნელობის გაწვევას. როგორც ერთი ის დაუყონებლივ უნდა გამოცხადდეს ტერშეკრებაზე.

მუშურ-გლეხურ ახალგაზრდობამ პირნათლად უნდა შეასრულოს თავისი წმინდა მოვალეობა საბჭოთა ხელისუფლებისა და მშრომელი ხალხის წინაშე.

ის ვინც გვერდს აუხვევს ამ ტერშეკრებას—დეზერტირი და ხალხის მოღალატეა.

ჩვენ მტკიცედ გვწამს, რომ გასაწვევ ახალგაზრდობის შორის არც ერთი დეზერტირი—არ აღმოჩნდება, რომ ის ერთსულოვნად ჩადგება ტერნაწილების რიგებში.

1902 წ. ცვალებადელნო თქვენ გელის წითელი ტერყაზარმა!

მხნედ გაეშურეთ მისკენ!

## მიმდინარე წლის მოსავალი.

საბჭოთა სახალხო მეურნეობა დღითი დღე მტკიცდება და წინ მიიწევს. ამის საუკეთესო მტკიცებაა მრეწველობის შეუჩერებლივი ზრდა. განსაკუთრებით, როგორც არა ერთხელ აღნიშნულა საბჭოთა პრესის ფურცლებზე, ეს ზრდა დაიწყო მიმდინარე, წლის თავში. ლითონის მრეწველობა, საქსოვი მრეწველობა, ნავთის მრეწველობა, ქვა ნახშირის წარმოება—ყველა ეს დარგები იშვიათი სისწრაფით ვითარდებიან და აჩქარებული ტემპით მიიწევენ ომამდე არსებულ ნორმამდე. ყოველივე ამას უნდა დაემატოს აგრეთვე კარგი მომავალი მოსავალი.

საბჭოთა ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობები ნათლად გვისურათებენ, ჩვენ წრეუნდელ მოსავლის მდგომარეობას.

თანახმად ამ ცნობებისა საბჭოთა კავშირში წრეულს შეგროვილი იქნება დაახლოებით სამი მილიარდი ექვსასი მილიონი ფუთი პური. ეს მოსავალი სავსებით დააკმაყოფილებს საბჭოთა კავშირის მოთხოვნილებას და კიდევ დარჩება 760 მილ. ფუთი საზღვარ გარეთ გასატანათ. თუ რამდენათ წასწევს წინ წრეუნდელი მოსავალი ჩვენს მეურნეობას, ამას დავინახავთ შემდეგიდან.

შარშან ძლიერ ცუდი მოსავალი იყო საბჭოთა კავშირში. ბევრი ადგილები დამშივდენ. არც ერთი ფუთი პური საზღვარ გარეთ არ გაგვიტანია.

მაგრამ მიუხედავათ ამისა პურის კრიზისი მაინც არ დაგვტყობია. მასთან მიუხედავათ ასეთი უმოსავლობისა გლეხობამ მაინც გადაიხადა სასოფლო სამეურნეო გადასახადი.

ასე იყო შარშან. უმოსავლობამ ჩვენი ზრდა მაინც ვერ შეაჩერა.

წრეულს კი ყველაფერი იმას ლაპარაკობს, რომ მოსავალი კარგი იქნება.

ცხადია, თუ შარშან მიუხედავათ უმოსავლობისა ჩვენ მაინც წინ-მივდიოდით, წრეულს კარგი მოსავლის პირობებში ჩვენ ასჯერ მეტი სისწრაფით წავალთ წინ აღორძინების გზაზე.

კარგი მოსავალი ასწევს სოფლის-მეურნეობას, გააუმჯობესებს მშრომელი გლეხობის მატერიალურ მდგომარეობას, გაიზრდება მოთხოვნილება მრეწველობის საგნებზე, რაც თავის მხრივ უფრო განავითარებს მრეწველობას. გარდა ამისა გაიზრდება ჩვენი საგარეო ვაჭრობაც, ჩვენი პურის გატანით საზღვარ გარეთ.

ამნაირად 1925 წელი დაიწყო და მიმდინარეობს საბჭოთა მეურნეობის იშვიათი გაფურჩქვნის ნიშნის ქვეშ.

მრეწველობის შეუჩერებლივი ზრდა და კარგი მოსავალიაი მთავარი მიზეზები ამ გაფურჩქვნის.

ყოველივე ეს საუკეთესო თავდებია მუშურ-გლეხური კავშირის გაძლიერებისა და მთელი საბჭოთა ქვეყნის განმტკიცების.

—ფ.

# ახალი რადიო-ამბები

## ბრძოლა ჩინეთის დამოუკიდებლობისათვის.

**ხუთასი-ათასიანი დემონსტრაცია მოსკოვში.**

12 ივნისს მოსკოვში გაიმართა მუშებისა და მოსწავლეების მრავალრიცხოვანი კრებები და მანიფესტაციები. მოსკოვ ის მოედნებზე, ფაბრიკებსა და ქარხნებში გაიმართა სულ 20 მიტინგი, რომლებშიაც მონაწილეობდა ნახევარ მილიონამდე კაცი. ორატორებმა დაახასიათეს ჩინეთის თანამედროვე მდგომარეობა და მოუწოდებდენ ჩინეთის მშრომელებზე დახმარებისაკენ.

**საბჭოთა მუშები ეხმარებიან ჩინეთის მუშებს.**

საბჭოთა პროფკავშირები აგროვებენ შემოწირულებას შანხაის გაფიცულ მუშათა სასარგებლოდ.

პროფკავშირთა ცენტრალური კომიტეტები აცხადებენ, რომ ისინი მზად არიან ფართე დახმარება გაუწიონ შანხაის მუშებს და მოუწოდებენ ჩინეთის მოძმეებს მტკიცედ და შეუდრეკლად განაგრძონ დაწყებული ბრძოლა.

ჩინეთის რუქა.




## მფრინავების დაღუპვა.

ლენინგრადის საკომენდანტო აეროდრომზე სამსახურის ასრულების დროს ავარიის გამო დაიღუპა ორი მფრინავი—კაზლოვი და ზაგორუიჩენკო. თვითმფრინავი დაეშვა 70 მეტრის სიმაღლიდან; მიწაზე დაცემის გამო გასქდა ბენზინის აბაზანები, ცეცხლი გაუჩნდა ბენზინს და მოხდა აფეთქება. თვითმფრინავი და მფრინავები დაიწვა.

## ჯალათები განაგრძობენ თავიანთ მოქმედებას.

### სოფიაში ჩამოახრჩვეს პერჩემილოვი.

სოფიაში ჩამოახრჩვეს პერჩემილიევი, რომელსაც მისჯილი ჰქონდა სიკვდილი კომუნისტების დაფარვისათვის. ის ჩამოახრჩვეს იმ მოედანზე, სადაც ჩამოხრჩობილი იქნა ფრიდმანი.

## ამერიკამ მიიღო კონცესია ჭიათურის შავ ქვაზე.

ამერიკასა და საბჭოთა კავშირს შორის დადებულ იქნა საკონცესიო ხელშეკრულება ჭიათურის შავქვაზე.

საბჭოთა კავშირის მხრივ ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს უმაღლეს სამეურნეო საბჭოს თავმჯდომარემ ძერჟინსკიმ და საგარეო საქმეთა კომისარმა ჩიჩერინმა, ამერიკის სავაჭრო სახლი—„გასიმანის“ მხრივ კომპანიის ვიცე-პრეზიდენტმა ჯონ სტედ-ილიოტმა.

**ამხ. ძერჟინსკი ხელშეკრულების შესახებ.**

საკონცესიო ხელშეკრულების შესახებ ძერჟინსკიმ განაცხადა, რომ არ შეიძლება არ მივესალმოთ ხელშეკრულებას, რომელსაც დიდი ეკონომიური მნიშვნელობა აქვს ორივე ქვეყნისათვის. ძერჟინსკიმ იმედი გამოსთქვა, რომ ეს ხელშეკრულება პირველი ნაბიჯია საბჭოთა კავშირსა და ამერიკის შორის ნორმალურ ურთიერთობის აღდგენისაკენ.

# საბჭოთა კავშირში

## ამხ. შმიდტი უმუშევრობის შესახებ.

საბჭოთა რესპუბლიკების შრომის ბაზრების განყოფილებათა წარმომადგენლებისა და მსხვილ ბირჟების თათბირზე შრომის სახალხო კომისარმა შმიდტმა განაცხადა შემდეგი:

„მიუხედავად საგრძნობი უმუშევრობისა, ჩვენში მაინც ნაკლებია კვალიფიციური მუშა ძალა. განსაკუთრებით საგრძნობია ეს საქსოვ წარმოებაში, შემდეგ ლითონის, ტყავეულობის მრეწველობაში და სხვა.

ჩვენი ფაბრიკა—საქარხნო მოსწავლეობის საქმე ისეა დაყენებული, რომ მათგან კვალიფიციურ მომუშავეთა მიღების თვის ცოტა იმედია.

ამ მხრივ ჩვენ უნდა მივიღოთ ენერგიული ზომები, რომ მივიღოთ კვალიფიციურ მუშათა კადრი მრეწველობისათვის. შეიძლება კიდევ მოგვიხდეს უმუშევართა შემადგენლობის გადასინჯვა, რომ მათგან მივიღოთ ასეთი ძალები მრეწველობისათვის.

საუწყებათშორისო კომისია დაიწყებს მუშაობას რამოდენიმე დღეში, და მე იმედი მაქვს, რომ კვალიფიციურ მომუშავეთა ძალის მომზადების საკითხი გადაჭრილ იქნება.

თათბირის დასასრულ გამოტანილ იქნა მთელი რიგი რეზოლიუციებისა.

# მე-14 პარტკონფერენციის დირექტივები ტარდება ცხოვრებაში.

**პრესის საქმეში.**

მე-14 პარტკონფერენციის დადგენილებათა ასასრულებლად პრესის საქმეში ცეკამ მიანდო პრესის განყოფილებას გადასინჯოს გაზეთების რედაქციების ხელმძღვანელი შემადგენლობა, დაიწყოს მომუშავეებით გაძლიერება პირველ რიგში გლეხთა, მუშებისა და მასიური გაზეთები და სხვა.

ცეკამ საჭიროდ სცნო აგრეთვე გამოიცეს ეროვნულ საფუძვლებზე მე-14 პარტკონფერენციის რეზოლიუციები და ბროშურების მთელი რიგი პარტკონფერენციის საკითხებზე.

**ქალთა შორის მუშაობის სფეროში.**

ცეკას საორგანიზაციო ბიუროს უახლოეს სხდომებზე მოსმენილ იქნება მოხსენებები აღმოსავლეთის ქალთა შორის მუშაობის შესახებ. ქალთა შორის მუშაობის გეგმის გასაძლიერებლად ცეკა ავალებს ქალთა განყოფილებას საორგანიზაციო-განმანათლებელ განყოფილებასთან ერთად გამოიმუშაოს დირექტივები ქალთა მუშაობაში მისაზიდავად და მასთან გამოცდილების მიხედვით გამოიმუშაოს დებულება მუშა და გლეხ ქალთა სადელეგატო კრებების შესახებ, რომელთა მიზანია ქალთა მიზიდვა პროფკავშირთა მუშაობაში, ქალთა შორის მომუშავეთა გადამზადება და სხვა.

## რკინის გზის შემოსავალი.

რკინის გზის შემოსავალი განუწყვეტლივ იზრდება. მაისში ის ავიდა 73 მილიონ მანეთზე.

გასული წლის მაისთან შედარებით რკინის გზების შემოსავალი გაიზარდა 28 პროცენტით, რაიც გაცილებით აღემატება გათვალისწინებულ ბიუჯეტს.

## პოლიტსაგანმანათლებლო მუშაკთა საზეიმო გამოშვება.

15 ივნისს მოსკოვში მოხდება პოლიტსაგანმანათლებლო ინსტიტუტის კურს დამთავრებულთა საზეიმო გამოშვება. გამოშვებულ იქნება 100 სტუდენტი, რომლებიც დაიგზავნებიან პროვინციებში პრაქტიკულ სამუშაოზე.

**საჰაერო ფლოტის აკადემიის პროფესორი მოსკოვ-ჩინეთის გადაფრენის შესახებ.**

საჰაერო ფლოტის პროფესორმა ვეგნერმა როსტას თანამშრომელთან საუბარში განაცხადა: „თავის სიძნელით მოსკოვ-მონღოლეთ-ჩინეთის გადაფრენას შეიძლება შევადაროთ ამერიკელების ქვეყნების გარშემო ფრენა გასულ წელში. მაგრამ თუ ტეხნიკურ საშუალებებს შევადარებთ, ამერიკის ექსპედიცია უკეთეს პირობებში იმყოფებოდა. ჩვენი გადაფრენა დიდად განირჩევა ამოცანის მიხედვით უცხოელების გადაფრენისაგან, ვინაიდან ჩვენი გადაფრენის მიზანია მხოლოდ კულტურული მხარე“.

## უზუსტესი სასწორი მთელს ქვეყნიერებაზე.

წონა—ზომის მთავარი პალატის ლაბორანტი შენდეევი ამთავრებს ახალი სასწორის აგებას. ეს სასწორი უზუსტესია მთელს ქვეყნიერებაზე.

ეს სასწორი იძლევა მიზიდულობის თეორიასთან დაკავშირებულ ბევრი სადაო საკითხის გარჩევის საშუალებას.

## მაშველი წერტი.

ფოთის ნავთსადგურმა მოაწყო მაშველი წერტი მეზღვაურთა სრული შტატით წყალზე უბედურ შემთხვევებისათვის.

სულ მოკლე დროში წერტის მიერ გადარჩენილ იქნა სამი კაცი, ამათ შორის ერთი უცხოელი მეზღვაური.

**ფოთის ტრამვაის ახალი ხაზი.**

სწარმოებს მუშაობა ახალი ტრამვაის ხაზის გასაყვანად მუშათა ქალაქში.

ახალი ხაზი გაუადვილებს მუშებს სამუშაო ადგილზე სიარულს.

**დამბის აგება.**

გაყვანილია ვიწრო ლიანდაგი, რათა გატანილ იქნას სილა კაპარჭინას წყალზე დამბის გასაკეთებლად.

დამბის აგებით წყალდიდობის საშიშროება აშორებულ იქნება.

# სამხედრო საქმე განაკში.

**საზაფხულო სწავლებისათვის.**

**7. ათეულისა და ოცეულის საბრძოლო მომზადება.**

შეტევითი ბრძოლის სწავლების უკანასკნელი მომენტია ცეცხლის უკანასკნელი ზღვარის დაკავება და იერიშზე გადასვლა.

ამ შემთხვევაში უნდა განემარტოს მეომრებს, რომ მთელი, აქამდის წარმოებული მოძრაობა—ეს იყო მომზადებითი, რათა ამ უკანასკნელ ცეცხლის ზღვარიდან მივაყენოთ მტერს რაც შეიძლება მეტი ზარალი და დავქსაქსოთ მისი რიგები.

ამიტომ ამ ზღვარზე ათეულები უნდა მოეწყონ ისე, რომ დაზგის ტყვიამფრქვევები თავის ათეულის შუალედიდან მარჯვედ მუსრავდეს მტერს.

ხელის ტყვიამფრქვევები დაყენებულ უნდა იქნან ისეთ ადგილზე, საიდანაც შეეძლოთ სროლა მტრისაკენ არა მარტო მსროლელ ათეულების მიერ უკანასკნელ ცეცხლის ზღვარის დაჭერის დროს, არამედ იერიშის დროსაც. მსროლელი ათეულები ხანდაკობის შემდეგ სცდილობენ თავისი მარჯვე ცეცხლით შემუსრონ მტრის ფრთა ან ჯვარედინ და ირიბი ცეცხლით წინ წამოწეული მტრის ჯგუფები, რომლებიც თავისი ცეცხლით გვიშლიან იერიშზე გადასვლას.

ცეცხლის უკანასკნელი ზღვარი აშორჩეულ უნდა იქნას მტრისაგან არა უშორეს 300 ნაბიჯისა.

გრანატის მტყორცნელთა მუშაობა ამ დროს მეტად ძნელი იქნება და ბევრად დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად კარგ ადგილს ამოირჩევს ათეულის უფროსი გრანატის მტყორცნელისთვის.

გრანატის მტყორცნელთან უნდა იმყოფებოდეს მისი თანაშემწე. ამ ორ მეომარს მოუხდება ბრძოლის წარმოება გრანატებით არ წოლილა, როგორც ათეულის სხვა მსროლელებს, არამედ დამჯდარს ან წამოჩოქილს. ამიტომ მათ უნდა მონახონ უფრო ხელსაყრელი ადგილი; წინააღმდეგ შემთხვევაში მათ ჩქარა შემუსრავს მტერი.

ამ დროს გრანატების მთავარი მიზანია შემუსრონ წინ წამოწეული ხელის და დაზგის ტყვიამფრქვევები და მტრის ჯგუფები, რომლებიც განსაკუთრებულ წინააღმდეგობას გაუწევს მსროლელ ათეულებს.

მტრის ცეცხლისა და მისი რიგების საგრძნობლად შესუსტების შემდეგ განყოფილება თავისი შეხედულებით გადადის იერიშით მის წინაშე მყოფ მტრის ჯგუფებზე და ეხმარება პირველ შესაძლებლობისთანავე თავის მეზობელ ათეულებს „ცეცხლით, ხიშტით და გრანატით“.

დაიპყრობს თუ არა მტრის ერთ პუნქტს, ათეული სწრაფად უნდა მოემზადოს შემდეგი იერიშისათვის და ასე შემდეგ, სანამ არ გასწმენდს მტრის მიერ დაკავებულ პოზიციას.

პ.

**მომზადება ღამით მოქმედებისათვის.**

ჩვენი სამოსწავლო გეგმა მოითხოვს, რათა საბანაკო პერიოდში ჩატარებულ იქნას ღამის მეცადინეობის არა ნაკლებ ერთი მესამედისა. რატომ ასეთი მნიშვნელობა ეძლევა ამ მეცადინეობას?

მომავალ ომებში ხშირად იწარმოებს ღამით მოქმედება, ვინაიდან როგორც მიწაზე, ისე ჰაერში ბრძოლის ტეხნიკურ საშუალებათა განვითარება მეტად აძნელებს დღისით მოქმედებას.

ამიტომ, რომ დავფაროთ ჩვენი მოძრაობა, შეუმჩნევლად და უმსხვერპლოდ მივუახლოვდეთ მტერს და შემდეგ იერიშზე გადავიდეთ, საჭიროა ღამით მოქმედება.

ამიტომ ღამით მოქმედების წარმატებისათვის უნდა გაიწვრთნას ჯარები ისე, რათა ყოველი წითელ არმიელი შეეჩვიოს და შეეძლოს ღამით მოქმედება. ყველამ ვიცით, რომ ადამიანი ღამით მეტად შთაბეჭდილებიანია; ადგილის გაგნება ძნელი ხდება; დღისით კარგად შესწავლილი ადგილი, ღამით უცხო გეჩვენება. ყველაფერი ეს მიგვითითებს იმაზე, რომ საჭიროა გამოცდილების შეძენა და ღამით მოქმედების სხვადასხვა ხერხის შესწავლა, სხვანაირად რომ ვთქვათ, პრაქტიკულად უნდა გაეცნო იმას, თუ როგორ უნდა იმოქმედო ღამით მოძრაობის დროს, ძიებაში, დარაჯობაში, ბრძოლაში და სხვა. მაგრამ სანამ ამ მოქმედებამდის მიხვიდოდე ნაწილის შემადგენლობით, წინასწარ საჭიროა ცალკეული სწავლების ჩატარება პრაქტიკულად.

ამ სწავლების მიზანი იქნება დაანახოს მეომრებს, თუ რა თავისებურობა აქვს ღამით მოქმედებას, რით განსხვავდება ის დღისით მოქმედებისაგან; მასთან გააცნოს მეომარი სინათლისა და ხმის გავლენას და ბოლოს, თუ როგორ გაიგოსსად იმყოფება და როგორ უნდა წავიდეს ნაჩვენებ ადგილისაკენ.

ამას უნდა დაუმატოთ: არ კმარა იცოდე რა უნდა აკეთო ღამით ამა თუ იმ გარემოებაში, არამედ უნდა შეგეძლოს სწორად და კეთილსინდისიერად აასრულო ის, რაც გასწავლენ და იცი. წასულ ომებში ხშირი იყო შემთხვევა, როცა გუშაგებს და საიდუმლო ჩასაფრებს ხელში იგდება მტერი მხოლოდ იმ მიზეზის გამო, რომ ისინი თამბაქოს სწევდენ, თუმცა გუშაგებმა კარგად იცოდენ, რომ თამბაქოს წევა საგუშაგოზე არ შეიძლება.

თუ როგორ უნდა სწარმოებდეს ღამით მოქმედების სწავლება, ამის შესახებ შემდეგ.

ი. ბარ.

## ახალწვეულ ტერარმიელებში მუშაობის შესახებ.

15 ივნისიდან ჩვენს ტერნაწილებს ესტუმრებიან 1902 წ. დაბადებულები წინასწარ მოსამზადებლად სამხედრო საქმეში.

ეს არის ნაწილობრივი შეკრება, პირველი მაგალითი იმისი თუ როგორ ჩაივლის საერთო შეკრება.

ამ შეკრებაზე უნდა დავაყრდნოთ მთელი ჩვენი მუშაობა საერთო შეკრების დროს, ვინაიდან ჩვენ გვექნება სათანადო გამოცდილება სამხედრო და პოლიტიკური მუშაობის მხრივ. პარტიულ ორგანიზაციებმა პირველ რიგში უნდა მოამზადონ ახლად მოსული პარტიის წევრები, ჩაუნერგონ მით ღრმად წითელი ჯარის მნიშვნელობა, როგორც თავდაცვის საქმეში, აგრეთვე საბჭოთა მეურნეობის აღდგენის სფეროში. მართალია მოკლე დრო დაგვრჩა მათ მოსამზადებლად, მაგრამ ჩვენ უკვე გვყავს საკმაო მომზადებული ამხანაგები ნაწილებში, რომლებიც მთელი წლის განმავლობაში მუშაობენ მილიციონურ სისტემის ცხოვრებაში გასატარებლად. უმთავრესი საკითხი, რომელიც წინ გვიდგას არის თუ როგორ მოვამზადოთ ახალი მოსული ამხანაგები, რომ ისინი იყვნენ, როგორც სამხედრო საქმის მცოდნე, ისე პოლიტიკურად მომზადებული მეომრები.

ახალწვეულების შეხვედრის დროს პარტორგანოებმა უნდა შექმნან ისეთი პირობები, რომ ამხანაგებს სავსებით აგრძნობინონ წითელ ყაზარმის მნიშვნელობა და მისი უახლოესი ამოცანები; მათ უნდა აეხსნას რისთვის იწვევენ მათ?—რომ ისინი მოდიან არა ძველი მეფის ყაზარმაში, სადაც ასწავლიდენ მხოლოდ მონურ მორჩილებას კაპიტალის და მეფისადმი, არამედ კომუნიზმის სკოლაში თავის ძმებთან „ამხანაგებთან. მათდამი ძმური ალერსით მიმართვა მასიურ და კერძო საუბრობის დროს, ამხანაგური დამოკიდებულების შექმნა მათ შორის არის, მუშაობის უახლოესი ამოცანა.

ახლად მოსულ ამხანაგებს ბევრის მოცემა შეუძლია სოფლის ცხოვრებიდან თუ რა აწუხებს სოფლის მუშას, რა აფერხებს მის მუშაობას, როგორ მოქმედობს საბჭოთა აპარატები სოფლად, რა გავლენა აქვს ამა თუ იმ სოფლის ჩარჩებს სოფლის ღარიბ-ღატაკებზე, როგორ უყურებენ წითელ არმიას, რა დამოკიდებულება ჰქონდათ ჩვენს მილიციონურ ჯარებს გლეხობის მასასთან, სოფლის საბჭოებთან, აღმასკომებთან, კოოპერატივებთან და სხვა. ეხმარებოდენ თუ არა ტერიტორიალური ნაწილები გზების გაყვანაში, წიგნთ-საცავ სამკითხველოების, კლუბების და ლენკუთხეების მოწყობაში, კოოპერატიულ მუშაობაში და სხვა. აი კითხვები, რომლებიც უნდა იქნენ ყოველმხრივ გამორკვეული.

ჩვენ უკვე ვიცით, რომ ბევრ ადგილას წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციას ცვალებად შემადგენლობაში არ ქონია სათანადო ყურადღება მიქცეული და ზოგ ნაწილში მოდიან წერა-კითხვის უცოდინარი ამხანაგები. ყველამ კარგად ვიცით, რომ წერა-კითხვის უცოდინარი წითელი-არმიელი ვერ იქნება კარგი მეომარი და დამცველი მუშურ-გლეხური ხელისუფლებისა. ჩვენ უნდა მივიღოთ ზომები, რომ წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია მოვახდინოთ, რაც შეიძლება დაჩქარებით ახალწვეულებში. ამ ამოცანის შესრულება დღეს ჩვენ სავსებით შეგვიძლია, ვინაიდან საკმაო რიცხვი კომუნისტების მოგვეპოვება, რომლებიც საკმაოდ მომზადებულები არიან, როგორც საერთო განათლების მხრივ, ისე პოლიტიკურ დარგშიც.

გამოწვეულთა შორის იქნებიან სხვა და სხვა მცირე ეროვნებათა მოქალაქენი. ეს დიდი მნიშვნელობის გარემოება არის, რომელსაც დიდი ყურადღებით უნდა მოვეპყრათ. მით უმეტეს საქართველოში, სადაც მრავალი ეროვნებები სახლობენ და სადაც მენშევიკების ბატონობამ დაგვიტოვა საშინელი ეროვნული შუღლი ურთიერთ დამოკიდებულებაში. ბევრ მათგანს დღემდის ჯარში სრულებით არ უმსახურია. დღეს პირველია მათი გამოწვევა და ეს პირველი გამოწვევა უნდა იქნეს ისეთი მაგალითი, რომ სახლში დაბრუნებულებმა მიიტანონ საუკეთესო შთაბეჭდილება წითელ ყაზარმაზე. მათ არ უნდა იგრძნონ ყაზარმაში თავი, როგორც უცხო ვინმემ, როგორც ეს იყო მეფის და მენშევიკების ჯარში, არამედ ისე, როგორც ნამდვილი სრულუფლებიანი წევრი წით.არმიის საერთო ოჯახისა. არავითარი დაცინვა, ოხუნჯობა თუ გინდ ხუმრობითი კილოთი, უთავბოლო ლაზღანდარობა ახალ მოსულებთან, რომელიც მათ ეროვნულ „მე“-ს შეურაცხყოფდეს არ უნდა ხდებოდეს.

ნამდვილი აღმზრდელობითი მუშაობის გატარება მთელი კულტურულ განმანათლებელი ძალებით კლუბებში, ლენინის კუთხეებში, სამკითხველოებში, სამხედრო წრეებში და სხვა დარგში არის ერთი უმთავრესი თავდები, რომ ავსწიოთ ახ. წვეულთა სამხედრო მომზადების დონე. აქ მით უმეტეს მცირე ერებიდან მოსულ ამხანაგებს უნდა მიექცეს მეტი ყურადღება, ვინაიდან ბევრი მათგანი მეტად ჩამორჩენილები არიან ვინემ რუსი, ქართველი და სხვა. ამხანაგები უნდა ეცადონ დაუახლოვდენ ამ ამხანაგებს და ხელი შეუწყონ მათ მეცადინეობაში.

სხვა საკითხებთან ერთად საჭიროა ანტი-რელიგიური პროპაგანდის სათანადო სიმაღლეზე დაყენება. აქ დაუშვებელია ყოველგვარი ზერელე გალაშქრება და უხეში სიტყვების ხმარება. რელიგიურ საკითხში ახსნა-განმარტება უნდა მიმდინარეობდეს მეცნიერულად, რომ წითელმა არმიელმა თვითონ იქონიოს წარმოდგენა მისი წარმოშობის, განვითარების პროცესზე და იგრძნოს მისი უსაფუძვლობა.

დაბოლოოს უნდა აღინიშნოს, რომ ამ მუშაობის ნაყოფიერობა მთლიანად დამოკიდებულია ნაწილების ხელმძღვანელ ამხანაგების ენერგიაზე და მონდომებაზე.

ჩვენს ყაზარმას ბევრი რა მაკლია თავის შინაურ ცხოვრებაში, მაგრამ თუ ჩვენ თავიდანვე სწორ ხაზს ავიღებთ მათი პოლიტიკურ და სამხედრო მომზადების საქმეში, მაშინ სავსებით შევასრულებთ ყველა დასახულ ამოცანებს ამ მხრივ, ახალ მოსულ ტერ-არმიელეიდან ჩვენ ავღზრდით საბჭოთა ხელისუფლების ღირსეულ დამცველებს. ჩვენ თავიდანვე უნდა შევაჩვიოთ ახალწვეულები დისციპლინას და წესრიგს. მხოლოდ ამ საფუძველზე შეიძლება მათი სათანადო მომზადება სამხედრო საქმეში და პოლიტიკურად.

აი როგორია ჩვენი მორიგი ამოცანები ახალ ტერშეკრებასთან დაკავშირებით.

მოფიქრებული და სერიოზული ყურადღება ამ ამოცანებისადმი, სავსებით უზრუნველყოფს მათ ნაყოფიერ გატარებას.

ვ. სიხარულიძე.

## 15 ივნისს დაიწყებ პირველი ტერმეკრება.

ტერკორო, მოიწერე ტერმეკრების მიმდინარეო-
ის და პირველ შთაბეჭდილების შესახებ.

წერილები თავის დროზე გამოგზავნეთ.

## როგორ ვემზადებით ცვალებადთა მისაღებათ.

მეექვსე ლეგ. მესამე ათასეული.

ათასეულმა გამოიმუშავა ფართო პროგრამა ახალწვეულ
ვალებადელთა შესახვედრად. ჩვენი მოქმედების გეგმა იყოფა
მდეგნაირად: გამოწვევამდე მთელ მაზრაში ჩატარებული იქნება
ართე აგიტაცია, რისთვისაც წინასწარ გამოწვეული არიან ხუ-
ი დღით ადრე პარტიული ამხანაგები.

ახალწვეულების მოსვლის დღეს კი ათასეულის დრამწრე
ართავს წარმოდგენას თავისი საკუთარი ძალებით. წარმოდ-
ენილი იქნება:

„ძველი და ახალი ყაზარმა", „სულის მამა" და შემდეგ
იმართება ლექსთა თქმა. ამ დღისთვისაც გამოვა კედლის
აზეთის სპეციალური ნომერი, რომელიც მიძღვნილი იქნება
ალწვეულებისადმი.

ამასთანავე აქედანვე მიღებულია წინასწარი ზომები, რომ
ალწვეულებში მათი მოსვლის დღიდანვე დაიწყოს ყველაფე-
ში ნორმალური მუშაობა.

დ. ჰანკვეტაძე.

## ოგვეცით სავარჯიშო იარაღები.

პირველი ლეგიონი.

პირველი ლეგიონის მეორე ასეული საზამთრო ყაზარ-
მში არის დარჩენილი. როგორც ვიცით ტანვარჯიშობას
ითელ ჯარში სათანადო ყურადღება აქვს მიქცეული, მაგ-
ამ ჩვენს ლეგიონში ვარჯიშობისათვის საჭირო იარაღები
ლიერ მცირეა, ხოლო მეორე ასეულში კი ასეთები სრუ-
ებით არ მოიპოვება. ნუ თუ ძნელია ორძელისა და კიბის
კეთება? ხეების მეტი ხომ არა უნდათ რა. საჭიროა მიაქ-
იონ ამას ყურადღება ვისაც შეეხება და აღმოგვიჩინონ სახ-
ართო იარაღებით დახმარება. ამასთანავე თუ მოსახერხებე-
ი იქნება ხსენებულ ასეულს საჭიროა მიეცეს ფეხბურთელ-
ათვის ერთი ბურთი.

წ. არმ. მ—აძე.

## ხკომკავშირის ბიურო-კოლექტი
## ის მუშაობა საზამთრო და საბა-
## ნაკო პერიოდებში.

(ქართ. მეთაურთა გაერთ. სკოლა.)

აღნიშნული სკოლის ა. ლ. კ. კ.
ურო-კოლექტივი გადახალი-
ბულ იქნა მიმდინარე წლის
ებერვლის შუა რიცხვებში.
უროში არჩეულ იქნა 11 კა-
ი, რომელთა შორის განაწი-
ებულ იქნა მუშაობის ყოველ-
არი დავალებანი.

ბიურო-კოლექტივის ახალმა
მადგენლობამ შემოიღო ყვე-
ა უჯრედებში წევრების მუ-
ობის აღრიცხვის ახალი ფო-
მები და სხვა.

. კომკავშირის სკოლები.

წევრთა პოლიტიკურად მო-
ადებისათვის ჩვენთან გახს-
ლ იქნა სკოლები, რომლის
ცადინეობა სწარმოებს კვირა-
ი ერთჯერ. სკოლების სამე-
დინო პროგრამას საფუძვ-
ად დაედო რესპუბლიკის პო-
იტ-სამმართველოს ცირკუ-
არი № 237. სკოლებში მე-
ადინეობა ეხლაც სწარმოებს,
ადგან სკოლის მთელი პროგ-
ამის გავლა ვერ მოვასწარით
ზამთრო პერიოდში.

რომ კავშირის წევრებს უფ-
ო მეტი აქტივობა გამოეჩინად
ცადინეობის დროს, ამიტომ
ანვლილ მასალიდან თითეუ-
ი ამხანაგი აკეთებს მოხსენე-
ს მომავალ გაკვეთილზე.

ბიურო-კოლექტივმა განსა-
კუთრებული ყურადღება მიაქ-
ცია კომკავშირის ყოველგვარ
გადახრას და გამოუცხადა მას
ბრძოლა.

მის მუშაობის გეგმაში შეტა-
ნილია ამის შესახებ სათანადო
მუხლები, სადაც ნათქვამია, რომ
კომკავშირის ყოველგვარ გადახ-
რების წინაამდეგ მოეწყოს
ჩვენს სკოლაში მთელი რიგი
მოხსენებებისა, ინსცენიროვკე-
ბის და ლიტერატურულ გასა-
მართლების სახით.

ბიურო-კოლექტივმა აგრეთ-
ვე მიაქცია ყურადღება სამხედ-
რო დისციპლინის ამაღლებას.
ზნად დაისახა, ხელი შეუწ-
ყოს სკოლის ადმინისტრაციას
სამხედრო დისციპლინის გატა-
რებაში. შეგვიძლია თამამად ვს-
თქვად, რომ ჩვენი სკოლის
ა. ლ. კ. კავშირი სამხედრო
დისციპლინის ამამაღლებელი
და სრული დისციპლინარულია.
და არ მოიპოვება ისეთი კომ-
კავშირის წევრი, რომ არღვევ-
დეს დისციპლინას.

ბიურო-კოლექტივმა კ. წევ-
რების აქტიურ მუშაობაში ჩა-
საბმელად მიმართა სხვა და სხვა
საშვალებებს,—რამაც შესამჩნე-
ვი ნაყოფი მოგვცა, მაგ. შე-
მოიღო ლენინის კუთხეებში კ-
წევრების მორიგეობა.

გამოყოფილ იქნა წარმომად-
გენლების ჯგუფი სხვა და სხვა
ორგანიზაციებში სამუშაოდ; კომ
კავშირის წევრებს, რომელთაც
საამისო უნარი შესწევდათ დაა-
ვალა კოლექტიური მოხსენებე-
ბის გაკეთება; შემოიღო რიგ-
რიგობით თავმჯდომარეობა,
მდივნობა და სხვა

კურსანტი დ. ნამგალაძე.

(გაგრძელება იქნება.)

# ბანაკის ცხოვრება და მუშაობა

## სანიმუშო პოლიტსაათი.

მეხუთე ლეგიონი.

5 ივნისს ჩვენი ლეგიონის კლუბში ახალწვეულებისა-
თვის მოეწყო სანიმუშო პოლიტსაათი, რომელიც ჩაატარა ამხ.
კალანდაძემ. საათი უმთავრესად შეიცავდა ახლად გამოსულ
არმიელების მოვალეობათა აღნუსხვასა და განმარტებას. ბევრი
ილაპარაკა ამხანაგმა აგრეთვე წითელ არმიელის უფლებებზე,
რომელსაც დიდი გულმოდგინებით უსმენდენ ახალწვეულები და
მრავალი საგულისხმო შეკითხვებით გამოდიოდენ. საერთოდ
საათი ძლიერ ხალისიანად იქნა ჩატარებული, ახალწვეულები
სრულიად დააკმაყოფილა ამხ. კალანდაძის ახსნა განმარტებებმა
სამხედრო სამსახურის შესახებ.

კარგი იქნება ასეთი საათები ხშირად მოეწყობოდეს ლე-
გიონში. ისინი ძლიერ იზიდავენ არმიელებს და ამიტომ სა-
ჭიროა ანგარიში გაეწიოს მათ.

ახალი სამხკორი.

## მოუღეთ ბოლო უსუფთაობას.

(პირველი ლეგიონი).

უკვე ერთი თვეა, რაც ჩვენი ლეგიონი გავიდა საბანა-
კოთ. ნაწილის მთელი შემადგენლობის ენერგიული მუშაო-
ბით ბანაკათ კარგათ მოვეწყვეთ. მაგრამ ჯერ-ჯერობით ზო-
გიერთი ნაკლი კიდევ გამოუსწორებელი რჩება.

წითელ არმიელთა სასადილო ვერ არის რიგზე მოწყო-
ბილი.

სადილობის დროს ჭერიდან სცვივა უამრავი მიწა და
იყრება ჩვენს ბაკებში.

ამასთანავე ერთად დილით და საღამოთი გვეძლევა ჩაი,
მაგრამ ამისთანა ჩაის დალევას, რომ არ იყოს ის სჯობია. სა-
ბანაკოთ გასვლის შემდეგ, დღემდე ჯერ ჩაის ასადუღებელი
ქვაბი ერთხელაც არ გაუსუფთავებიათ და შიდ რჩება ამ-

## კ. წ. დ. ა. წითელი არმიისა და ფლოტის სახლში

(პლეხანოვის გამზირი № 73) ეწყობა მსროლელთა წრე, რო-
მლის მიზანია ასწავლოს წრის წევრებს თოფის კარგად ხმარე-
ბა და სროლა.

იქნება თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობა. პრაქტიკუ-
ლი სროლა იწარმოებს სასროლ მოედანზე.

სროლისათვის დაურიგდებათ შაშხანები და ვაზნები. წრის წე-
ვრად ჩაწერა სწარმოებს წითელი არმიისა და ფლოტის სახლში დი-
ლის 8 საათიდან დღის 2 საათამდი და საღამოს 6 საათიდან 10
საათამდე.

წრეში ჩაწერა შეუძლიათ კადრისა და ტერნაწილების სამხე-
დრო მსახურებს, წვევამდელებს, პროფკავშირთა წევრებს და მასწა-
ვლებლებს.

კ. წ. დ. ა. წითელი არმიისა და ფლოტის სახლი.

დენი ხნის ნახარში წლის ნალექი, რომელიც ცუდ სუნს აძ-
ლევს ჩაის.

საჭიროა სასწრაფოთ მიექცეს ამ მოვლენას ჯეროვანი ყუ-
რადღება ვისგანაც ჯერ არს.

სამხკორი ივ. ბარელაძე.

## მოგვეცით საზაფხულო ჩაფხუტები.

5-თე ლეგ. 2-რე ათასეული.

ჩვენი ათასეული საკმაოდ ცხელ ადგილებში არის მო-
თავსებული. საზაფხულო ტანსაცმელი კარგა ხანია მივიღეთ,
მაგრამ მიუხედავათ ყოველდღიურ დაპირებებისა არ ეშვე-
ლა საზაფხულო ჩაფხუტების მიღებას. სიცხე თანდათან მწვე-
ლი და აუტანელი ხდება. საზამთრო ქუდებით სიარული პირ-
დაპირ ტანჯვაა. დროა ჩვენი ათასეულის მნე სასწრაფოდ მიი-
ღებდეს საჭირო ზომებს და გვაღირსებდეს საზაფხულო ქუდებს.
მარტო ყოველდღიური დაპირება და ტკბილი სიტყვები ვერ
გაგვიწევს ქუდების მაგიერობას.

წ. არმ. ციცქიშვილი.

## უმნიშვნელო ნაკლსაც გამოსწორება სჭირია.

პირველ ლეგიონში ყოველივე ნაკლის გამოსწორებას
ექცევა ჯეროვანი ყურადღება ნაწილის უფროსებისაგან. წარ-
სულში ბევრ ნაკლს ქონდა ადგილი, რომელთაგან ბევრი უკვე
გამოსწორებულია.

მაგრამ კიდევ არის ისეთი უმნიშვნელო ნაკლი, რომე-
ლიც ხელს უშლის ნაწილის მუშაობას, და ამ მცირე ნაკლ-

## ბანაკში.

ჩვენი საშეფო მუშაობა.

7 ივნისი—კვირა, სუსხიანი
დილაა. კურსანტებმა ჩაის შემ-
დეგ ღელეზე ქვაბების ხეხვა
დაიწყეს... საბანაო ჰაუზიც გა-
წმინდეს—ტალახნარევი, ნაწვი-
მარი წყალი იდგა...

— ბიჭებო, აბა, ცოცხებს
მოჰკიდეთ ხელი!

გაისმა ერთ-ერთი ასეულის
კურსანტის ხმა.

ასეული გაუწმენდიათ ველუ-
რი ბალახებისაგან და ცარიელ
ადგილებში ქვიშა ჩაუთესიათ...
ნაწილი —ბანაკის უხეირო
გზებს ასწორებს და თეთრი მი-
წის ზოლს ავლებს!

—ამხანაგებო! ტეზერში ვინც
მიდიხართ,-კლუბში წადით: მო-
მღერლები და „არტისტები"—
ცალ-ცალკე!.. გაისმა მორიგე
მეთაურის ბრძანება.

დრამატიული წრის წევრებს
„არტისტებს" ეძახიან. ეს კარ-
გი არაა! ზოგი ამას სასაცილოთ
იღებს...

—

მხატვრები და პოლიტიკუ-
რად მომწიფებული ამხანაგები
კლუბის უფროსთან ერთად—
აჩქარებენ ლენინის წითელი
კარავის მოთავებას!

ქართველ მეთაურთა სკოლას
ერთი, მაგრამ საკმაოდ მოზრ-
დილი წითელი კარავი აქვს.

მაღლობზე სდგას და შესა-
ფერისად მოწყობილი და გა-
ლამაზებულია. წითელ კარავში
—ცალკე კუთხეების შევსლა
ხდება; კომკავშირი ამაში მხუ-
რვალე მონაწილეობას იღებს!
(აქ მეზობელი გლეხები გვეწვე-
ვიან ხოლმე).

საარტილერიო განყოფილება
და პირველი ასეული—ემზადე-
ბიან ლენინის კარავის „საღა-
მოების" გასამართავათ...

კლუბში ცალკე მზადებაა:
ერთი ნაწილი სიმღერებს იმეო-
რებს და მეორე—სცენაზე რეპე-
ტიციას გადის, მესამე-ამზადებს:
„პოლიტ-მიმოხილვას გლეხთა-
თვის"...

—

სოფელ ტეზერში მიმავალ
კურსანტებს ადრე მისცეს სა-
დილი.

სადილის შემდეგ ქართველ
მეთაურთა სკოლის სავარჯიშო
მოედანზე შეიკრიბენ ყველა
სამხედრო სკოლებისა და გა-
დასამზადებელი კურსების ცალ-
კე ნაწილები და სამხედრო ორ-
კესტრით გაემგზავრენ სოფელ
ტეზერში საღამო-მიტინგის გა-
სამართავად!..

—

მშვენიერი მზიანი დღეა. მი-
ვემგზავრებით სოფელ ტეზერი-
საკენ, რომელიც ბანაკიდან
6 ვერსითაა დაშორებული. ტე-
ზერი მდებარეობს ლიხის მთის
ახლო... მშვენიერი საზაფხუ-
ლო ადგილია. სოფელი შესდ-
გება: გაღმა და გამოღმა ტეზე-
რისაგან (300 კომლი) ორი
ათასამდე (2000) მცხოვრებლე-
ბია ამ სოფელში. არის პარტი-
ული ორგანიზაცია. განსაკუთ-
რებით კი ძლიერია კომუნის-
ტურ ახალგაზრდობის კავშირი.
მისვლისას ძალიან ცოტა ხალ-
ხი დაგვიხვდა, მხოლოდ: ერთი
საათნახევარის განმავლობაში
300-მდე კაცი და ქალები შე-
იკრიბა.

—

„საღამოს" გასამართავი ად-
გილი გაასუფთავეს კურსანტე-
ბმა და ადგილობრივმა კომ-კა-
ვშირელებმა. ბუნებრივი სცენა
(ამაღლებული ადგილი) მორ-
თეს ქართული სკოლის კურ-
სანტებმა და თუმცა დაგვიანე-
ბით, მაგრამ „საღამო" მაინც
მეტად შინაარსიანად დაიწყო:
შესავალში, სანამდე სიტყვას
იტყოდენ საზეიმო კრებისა და
ჩვენი შეხვედრის შესახებ, ერ-
თმა ამხანაგმა ამოცანები მი-
სცა ბავშვებს, (100-მდე ბავშვი
იყო) რამაც დიდი ხალისი გა-
მოიწვია მათში.

ამის შემდეგ—მშვენიერი ლე-
ქსები წაიკითხეს ადგილობრი-
ვი სკოლის მოწაფეებმა. 6
წლის შოთამ, თავის მეორე
ლექსი ასე დაამთავრა:

„ჩვენ შრომის შვილნი ვართ,
გაუმარჯოს შრომასაო!"

ამაზე აზერბაიჯანის სკოლის
სამხედრო ორკესტრმა „ტუში"
დაუკრა... მოსული ხალხის რი-
ცხვი გაიზარდა!..

—

ერთ-ერთმა ამხ. კლუბის მუ-
შაკმა საზეიმო კრება გახსნა და
ქართ. მეთაურთა სკოლის კო-
მისარმა ამხ. რამიშვილმა ოთ-
ხივე სკოლების სახელით მისა-
ლოცი სიტყვა სთქვა. იგი შე-
ეხო საბჭოთა მთავრობის სა-
სოფლო პოლიტიკას და წი-
თელი ჯარის ამოცანებს. აგ-
რეთვე აღნიშნა შეფობის მი-
ზანი და მნიშვნელობა, რის
შემდეგაც ილაპარაკა ორმა
ადგილობრივმა ახალგაზრდამ,
მათ აღნიშნეს: „მიუხედავათ
იმისა, რომ ასეთი დიდი (და
არც თუ ღარიბი) სოფელი გვ-
აქვს, ნაკლულევანება ბევრია
ამ სოფელში: არა გვაქვს ხეი-
რიანი კლუბი, საექიმო პუნქ-
ტი, რკ. გზის პლატფორმა და
სასმელი წყალიც, რომელიც
აქვე ნახევარ ვერსზეა—ვერ გა-
მოგვიყვანია-ო!.."

ამაზე ამხ. კომისარმა აღუთ-
ქვა დახმარება შესაძლებლო-
ბის ფარგლებში და მიუთითა,
რომ საჭიროა ადგილობრივმა
ხელისუფლებამაც მიაქციოს ამ
გარემოებას ყურადღება და რაც
ადვილია გასაკეთებლად იმას
შორს დროისთვის ნუღარ გა-
დასდებთო!..

ლიხის მთაზე ღრუბლები გა-
მოჩნდა და ჩვენ „საღამოს" სა-
კლუბო ნაწილს სასწრაფოდ შე-
უდექით.

შესრულებული იქმნა დეკ-
ლამაცია ქართულად და თათ-
რულად, კუპლეტები თათრუ-
ლად და ქართულად, უკრავდა
სიმებიანი ორკესტრი ოცდამეე-
რთე სკოლისა და აზერბეიჯა-
ნის სკოლის მეთარეთა დასტა...
(დაუკრეს „სურამის ციხე" და
„მე ვარ არსენა ჯორჯიაშვი-
ლი!") წვიმა წამოვიდა და პიე-
სა მოვხსენით... საღამო ქარ-
თული სიმღერებით დამთავრდა
და შეფი—სასწრაფოთ გამოეშუ-
რა ბანაკისაკენ.

სამხკორი ჩვენი.

## გაუგებრობის განსამარტავად.

ამ რამოდენიმე ხნის წინ ჩვენს გაზეთში აღვნიშნე სოფლათ მცხოვრებ კომუნისტების მიერ თავის საკუთარ მეურნეობის გაუმჯობესების შესახებ.

აქვე მიუთითებდით, რომ სოფლათ მცხოვრები პარტიის წევრები თავის საკუთარ მეურნეობის გაუმჯობესებას დიდ ყურადღებას აქცევენ, ამ რიგათ, ოჯახი კარგად აქვთ მოწყობილი და ამავე დროს თვითონ კი პასუხისმგებელ ადგილებზედ მუშაობენ მეთქი.

ამას ეხლაც ვადასტურებ, რომ ასეთი რამ მომხდარა და შეიძლება შემდეგშიც მოხდეს. კომუნისტის მიერ ასეთი გზით თავის მეურნეობის გაუმჯობესება დაუშვებლად ვცანი მაშინ და რასაკვირველია ეხლაც ვსცნობ.

ჩემს წერილს რაღაც გაუგებრობა გამოუწვევია ზოგიერთ მკითხველებში და სიტყვიერად მეკითხებიან: ნუ თუ თქვენ პარტიის წევრს უფლებას არ აძლევთ, რომ მან მისი ოჯახი და მეურნეობა კარგად მოაწყოსო.

ამის წინააღმდეგი რატომ უნდა იყოს კომუნისტური პარტიაო. წინა წერილში მთლიანათ არ ამომიწურავს საკითხი, თუ როგორ უნდა აწყობდეს პარტიის წევრი თავის მეურნეობას და რა გზით, რომ მისი მეურნეობა სამაგალითო შეიქმნეს ყველასათვის. პარტიის პრინციპს შეადგენს გაყვლეფის ყოველგვარ ფორმასთან ბრძოლა, და თუ რომელიმე კომუნისტი დაქირავებული შრომით, სხვის ხარჯზე აუმჯობესებს თავის მეურნეობას, ის არ არის კომუნისტი, რადგანაც თვითონ გამოდის მყვლეფელის როლში და ექსპლოატაციას ეწევა.

მე სწორეთ ასეთი კომუნისტები მყავდა მხედველობაში, რომლებიც კარგ ჯამაგირს ღებულობენ, მსახურობენ თავის ოჯახთან ახლოს, ქირაობენ მუშებს და ამრიგათ ფიქრობენ თავის პირად ცხოვრების გალამაზებას.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ასეთი პარტიის წევრი არ არის კომუნისტი და არც შეიძლება ასეთები ვიყოლიოთ პარტიაში.

პირიქით, ჩვენი პარტიის წევრები, რომლებიც ცხოვრობენ სოფლებში და ეწევიან მეურნეობას მათი პირდაპირი მოვალეობაა, რათა ხელი შეუწყონ კომუნების დაარსებას და განვითარებას. თუ ამ კომუნების დაარსებას ხელს არ უწყობს რაიმე მიზეზები, იმ შემთხვევაში ყველა პარტიის წევრი ვალდებულია, რათა მან გამოიჩინოს დაუზოგველი შრომისმოყვარეობა, იმუშაოს მუყაითად და თავისი შრომით გააუმჯობესოს თავისი მეურნეობა ისე, რომ უპარტიო გლეხობამ მისგან მაგალითი აიღოს. თუ ასე იქცევა კომუნისტი ის სასარგებლოა როგორც პარტიისათვის აგრეთვე მთელი გლეხობისათვის. რაც შეეხება უპარტიო მოქალაქეებს მათთვისაც ხელსაყრელი და აუცილებელი საჭიროებაა ხელი შეუწყონ კომუნების დაარსებას. ამას თხოულობს თანამედროვე განვითარებული ტეხნიკა, რომელიც თხოულობს კოლექტიურ შრომას. ამის გარდა, უპარტიო გლეხს უფლება აქვს იმუშაოს და მოაწყოს თავის მეურნეობა ისე როგორც მას სურს; ამაში მას ხელს არავინ შეუშლის. რაც შეეხება საბჭოთა მოსამსახურეებს, მათ ყოველთვის შეუძლიათ თავის ჯამაგირით გინდ ვენახი გააშენოს, სურს ცხენი და ხარები იყიდოს თავის ოჯახისათვის.—აი მოკლედ პასუხი იმ წერილის შესახებ, რომელმაც ცოტა გაუგებრობა გამოიწვია ზოგიერთ მკითხველში.

**ს. ლომიძე.**

საც სჭირია ყურადღების მიქცევა და გამოსწორება.

იმ შენობაში, სადაც ლეგიონის შტაბია მოთავსებული ალაგ-ალაგ ჩამტვრეულია მინები, საიდანაც თავისუფლად ჰქრის.

უკანასკნელ დღეებში ხშირად ჰქრის და შტაბის ოთახებში პირდაპირ შეუძლებელია მუშაობა. ხშირია შემთხვევა, როცა მთელი დღე ეძებენ ქარის გატაცებულ ქაღალდებს და მის ძებნაში იკარგება დრო და მუშაობაც ძლიერ ფერხდება.

მიაქციეთ ამ უმნიშვნელო ნაკლსაც ყურადღება და ჩასვით მინები შტაბის ფანჯრებში.

სამხკორი **დურბინდი.**

## სირცხვილი იმ წითელ-არმიელს, რომელიც თავის ამხანაგს პატივისცემით არ ეპყრობა!

პირველ საარტილერიო ლეგიონის საყარაულო გუნდში არის ერთი სუსტი ნებისყოფის წითელი არმიელი, გვარად ხარჩილაძე, რომელიც ყოველივე დავალებებს პირნათლად და დაუზარებლად ასრულებს.

ხსენებული ამხანაგის სუსტი ნებისყოფით სარგებლობენ გუნდის წითელ არმიელები და მოსვენებას არ აძლევენ მას. ყოველი ფეხის გადადგმაზე დასცინიან მას, ხშირად დაწოლილს საბანს გადაჰგლეჯენ, დაჰყვირიან თავზე და სხ., რაც ძლიერ ცუდათ მოქმედობს ამხ. ხარჩილაძეზე.

ამ დამცირებას და გულის მოსვლას ამხ. ხარჩილაძე ყოველთვის გულში იკლავს და ჩუმდება, რადგან ყურადღების მიმქცევი არავინა ყავს.

ჩვენს ნაწილში ამ მოვლენას ე. ი. ურთი-ერთ დაცინვას, უკვე დიდი ხანია რაც მასიური ხასიათი აქვს.

წითელი არმიელების მხრივ ასეთი მოპყრობა თავიანთი ამხანაგისადმი დიდი დანაშაულია.

დროა მიაქციონ ამ მოვლენას ჯეროვანი ყურადღება ჩვენი ნაწილის უფროსებმა და გადააჩვიონ წითელი არმიელები ამ ცუდ ჩვეულებას; კერძოთ ამხ. ხარჩილაძე კი იხსნან ამ დაცინვისაგან.

საყარაულო გუნდის წითელ არმიელებო გრცხვენოდეთ ასეთი საქციელისათვის!

წით. არმ. **ლეო ფარ-ბელი.**

## პასუხი სიმართლეს მოკლებულია.

(საპასუხოთ ამხ. ქ. ქავთარაძეს).

გაზეთ „წითელ არმიელის" № 124—(822)-ში მოთავსებულია ამხ. ქ. ქავთარაძის წერილი, სათაურით: „მარტო წერით მიზანს ვერ მიაღწევთ", რომელიც მიპასუხებს, თითქოს ჩემი წერილი სიმართლეს არ შეეფერებოდეს.

ამხ. ქავთარაძე მეთანხმება იმაში, რომ მართალია სამნეო გუნდის არმიელები შესდგებიან სხვა და სხვა ეროვნებისაგან და თითქოს ერთის მეტს ყველას კარგად ესმოდეს ქართული ენაო. ამხ. ქავთარაძე! ეს არ არის სწორი.

მე თითონ დღე და ღამე მათთან ვიმყოფები, და უკეთესად ვიცი ვინ როგორი ცოდნისა არის. არ არის მართალი ამხ. ქავთარაძე, როცა ამბობთ: იმ ერთისათვის ყოველთვის იგზავნებოდა გაზეთიო და ბანაკად გასვლის შემდეგ ზედმეტად ვცანით, ვინაიდან სამკითხველო დაუახლოვდა სამნეო გუნდსო.

რუსული ლიტერატურას რომ ჩვენი ასეული მოკლებულია ამას დაამტკიცებს მთელი ასეულის არმიელები და უფპოლიტშემადგენლობა.

წიგნები ქართულ ენაზე ასეულში საკმაო არისო, ამაზე დიდ მადლობას გიძღვნით ამხ. ქ. ქავთარაძე, ქართული წიგნებზე და გაზეთებზე არც ჩვენ გისაყვედურებთ.

რუსული წიგნების გაცემა კუთხეზე არ შეგვიძლია, რადგან გუნდის ბიბლიოთეკარმა რუსული ენა სრულებით არ იცის და ამიტომ ხელმძღვანელობას და აღრიცხვას ვერ აწარმოებსო. არც ამით შეიძლება თავის მართლება, ვინაიდან ჩვენ მხედველობაში გვაქვს უმთავრესად გაზეთები, და რაც შეეხება წიგნებს არც ამას უნდა დიდი რუსულის მცოდნე კაცი. გუნდის ბიბლიოთეკარს მიეცით წიგნები განსაზღვრული დროით, და ჩაიბარეთ დანიშნულ დროზე.

შემდეგ ამხ. ქავთარაძე განაგრძობს, რომ წიგნებსა და გაზეთებს ვანაწილებთ 18—20 ნაწილად და ლეგიონთან ახლოს მდგომ ნაწილებმა ისარგებლონ სამკითხველოთიო.

ამხ. ქავთარაძე უნდა იცოდეთ რომ არ შეიძლება ჩვენი ასეული შევადაროთ მწყობრ ასეულებს. ამათ შეუძლიათ ისარგებლონ დღისით სამკითხველოთი, ჩვენ კი არა, რადგან ჩვენი ასეული დღისით სამუშაოზეა და თავისუფალი დრო გვაქვს მხოლოთ საღამოობით.

სამხკორი **მეჯუდა.**

## ამბები სოფლებიდან.

**აღმასკომის შენობის აგება.**

სოფ. ფშაველის (თელ. მაზრა) თემსაბჭომ დაადგინა გაყიდოს ძველი საფონდო შენობა და მისი შემოსავალი მოახმაროს აღმასკომის შენობის აგებას.

**ვენახები გამოკეთდა რაჭაში.**

ქვემო რაჭიდან ჩამოსულთა სიტყვით, დიდი ზამთრის გამო გაფუჭებული ვენახები გამოკეთების გზაზეა. ყინვებით დამხმარმა ვაზებმა ამოიყარეს ახალი ყლორტები.

**გზა-ტკეცილის გასაყვანათ.**

ახალციხის აღმასკომმა დაადგინა გადასდოს 500 მანეთი ახალციხე-ურაველს შორის გზატკეცილის გასაყვანათ წინასწარ გამოკვლევათა მიხედვით.

**ტრაქტორების გაგზავნა გორის მაზრაში.**

მიწ.-მოქმ. კომისარიატმა გაგზავნა გორის მაზრაში გამოსაცდელათ ერთი ტრაქტორი, თუ ტრაქტორი გამოდგა, იგი გადაეცემა მაზრას.

**აღმშენებლობის ფრონტზე.**

სიღნაღის აღმასკომმა შეატყობინა შინაგან საქმ. სახ. კომისარიატს, რომ მთავრობის მიერ სოფ. გიორგიეთის სასარგებლოდ გადადებულ ასი ათასი მანეთიდან იქ აშენებული იქნება სკოლა. აბანო, კოოპერატივი და დანარჩენი თანხა საჭიროა დაურიგდეს გლეხებს საკუთარი მეურნეობის საჭიროებისათვის.

**ტეხნიკუმის გახსნა.**

სიღნაღის აღმასკომმა დაადგინა იშუამდგომლოს სახ. განათლ. კომისარიატის წინაშე მაზრაში საწარმოო-ეკონომიური ტეხნიკუმის გახსნის შესახებ.

**სახალხო სახლი თელავში.**

თელავის სახალხო სახლის მოვლა-პატრონობის მიზნით აღმასკომმა მოიწვია ერთი დარაჯი და ერთი ცეცხლის მქრობელი.

## ახალი ამბები.

— **სახლების შეკეთება ტფილისში.** კომუნალური ბანკის საშუალებით მთელ ტფილისში შეკეთებულია 300 სახლი.

— **სატყეო მასალა.** ტრამვაის ვაგონების შესაკეთებლათ სატყეო ტრესტიდან ტრამვაის დირექციამ შეიძინა მაგარი ჯიშის სატყეო მასალა.

— **ქუჩის გაფართოება.** უკვე დასრულდა ტრამვაის პარკთან ქუჩის გაფართოება. ტრამვაის დირექციამ ქუჩაზე უკვე გაიყვანა სინათლე.

— **მაისის განმავლობაში.** ქალაქის აბანოებით ისარგებლინია 98.586 მოქალაქეს.

— **სამხატვრო ტეხნიკუმი.** განათლების სახ. კომისარიატს განზრახული აქვს გახსნას ტფილისში სამხატვრო ტეხნიკუმი.

— **ჯამაგირების მომატება.** ა. კ. უმაღ. ეკ. საბჭოს დადგენილებით ტყის დარაჯებს ჯამაგირი გაუდიდათ 5 მანეთით.

— **დახმარება ქვრივ-ობლებს.** სეზონის დასაწყისს (მაისის) განმავლობაში დამზღვევმა კასამ დახმარების სახით დაურიგა ქვრივ-ობლებს 3 803 მანეთი.

— **ბამბის დამზადება.** სეზონის დასაწყისს (მაისი) ამიერკავკასიაში დამზადებულ იქნა 4.005.000 ფუთი ბამბა.

— **გრეხილ ავეჯეულობის ქარხნის** საჭიროებისათვის საგანგებო ჯიშის ტყის მასალების დამზადებას შეუდგებიან აგვისტოში.

— **სამხატვრო აკადემიას**თან განზრახულია გაიხსნას საკერამიკო და სალიტოგრაფიო სახელოსნოები.

პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე.

## განცხადებები

ქართულ ნაწილების კლუბის უფროსების

### საყურადღებოდ.

ამა წლის 16 ივნისს სამშაბათს დილის 10 საათზე „წითელი არმიის და ფლოტის ბაღში" (პლეხანოვის პროსპექტი № 73), დანიშნულია თათბირი თბილისის გარნიზონში მდგომ ქართულ ნაწილების კლუბის უფროსებისა. დასწრება აუცილებელია.

„წითელი არმიის და ფლოტის სახლთან" არსებულ ქართულ სექციის გამგე **დ. ჭანტურიშვილი.**

**ტფილისის და მისი რაიონების მცხოვრებთა საყურადღებოდ,** რომ 15-დან 19 ივნისამდი ყოველდღიურად ნავთლუღ ვაზიანის გადასარბენზე, ავლაბრის ტბის რაიონში ჯავშნიან მატარებლების მე-7 დივიზია აწარმოებს ქვემეხების გამიზვნას (სროლას), ხოლო 22-დან 27 ივნისამდი იმავე ადგილზე ხსენებულ დივიზიონის მიერ იწარმოებს სამოსწავლო-სატყვიამფრქვევო სროლა.

ქალაქის კომენდანტის თანაშემწე **გეგელაშვილი.**

ადმინ.-სამნეო განყ. უფროსი **ნაკაშიძე.**

**დაკარგე** პირადობის მოწმობა № 67, გაცემული პირველ ქ. მ. ლეგიონიდან ელისაბედი კუბლაშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

### 1-ლი და მე-2-ე ქართულ დივიზიების მეთაურთა და პოლიტ-ხელთა საყურადღებოთ.

ქ. ტფილისში გახსნილია ცენტრალურ სამხედრო გაზეთის „**კრასნაია ზვეზდა**"-ს გამომცემლობის ამიერკავკასიის განყოფილება.

**მიიღება ხელის მოწერა ყოველ დღიურ სამხედრო გაზეთ „კრასნაია ზვეზდა"-ზე** და სამხედრო პოლიტიკურ ჟურნალ „**სპუტნიკ პოლიტრაბოტნიკა**"-**ზე.** („პოლიტ-მომუშავის თანამგზავრი")

**ხელის მოწერის ფასი**

„კრასნაია ზვეზდა" 1——თვეში ——1 მანეთი
3— ——————2„ 90 კაპ.

„სპუტნიკ პოლიტრაბოტნიკა"
1————————80 კაპ.
3———————2 მან 30 კაპ.

**განყოფილებასთან გახსნილია აგრეთვე სპეციალური სამხედრო წიგნების მაღაზია.**

**ყოველდღიური მიღება ახალი წიგნების ყველა საკითხებზე. სამხედრო ნაწილებს ეძლევათ შეღავათი და ნისიად.**

**მისამართი: ქ. ტფილისი, თავისუფლების (ყოფ. ერევნის) მოედანი № 3.**